

572
1971

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

1971 თებერვალი №2

ბიჭა



სქიტი


საქართველო

ლექსი იოსებ ნონაშვილისა

ღრღმები აღისფერი,
როგორც მომავლის ფრთები,
შვიდფერი ცისარტყელით
განათებული მთები.


მუსიკა მერი ლავითაშვილისა

შუქად დაღვრილი მტკვარი,
თუჯი... ფოლადი... ფერო...
ხარობს, ხალისობს, ჰყვავის
ხაბჭოთა საქართველო!



მასის ღმერთი

ფიოგ-ნი ი-ლის ფე-ნი
ჩი-ბის მამუ-ღის ფო-ბე
მუდგე-ჩი ცი-სსე-ლე-ლით
ც-ნა-ფე-ბე-ფი მე-ნი



11583



3. ი. დანიანი კითხულობს ს. ოჯახის წევრების დეკლარაციას

ნახატო ალექსი გვიგულაშვილისა



50 წელი

წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

კომუნისტური პარტიის ერთგულმა შვილმა სერგო ორჯონიკიძემ იმავე დღეს ლენინსა და სტალინს დეპეშით აცნობა:

«თბილისზე ფრილედს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს».

დღეს დიდი დღესასწაულია.

ამ დღად თარიღთან ერთად ქართველი ხალხი აღნიშნავს საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა არა ერთხელ გამოიჩინა თავი შრომაში, რისთვისაც ჩვენი რესპუბლიკა ლენინის ორდენით ორჯერ დაჯილდოვდა.

საქართველოს ნორჩი თაობაც სიხარულით უერთდება ამ დიდებულ ზეიმს.

აუნთებელი ბუხარი



გიორგი შავერაშვილი

ზღვა მრისხანებდა.
ბობოქრობდა, თითქოს
იზიარებდა ხალხის
გულისწყრომას...

ამ დილით რამდენიმე
მოწინავე მუშა დააპატიმრა
ბათუმის კანდარმერიაში,
გაჩხრიკა და აიკლო მათი
ღარიბული ქოხნახები, ააჯრემლა
ქალები და პატარა ბავშვები; აქა-იქ



ნახატები ჩვენს მუშაობაში

ჩხრეკა და დაპატიმრება
ისევ გრძელდებოდა.
დაცარიელებული
ქუჩები მინაბუღილიყო.
ხალხი ჩვეულებრივად
არ მიმოდიოდა, არა-
ვინ ჩანდა. მხოლოდ
ერთი დაბალი სახლის
წინ მოხუცი კაცი ჩა-
მომჯღადარიყო.

ქუჩის ბოლოში პატარა ბიჭი გამოჩნდა,

მარჯვენა ხელში მოზრდილი ქილის კალათი ეჭირა. მარცხენა იდლიაში ხმელი ფიცრის რამდენიმე ნახლეჩი ამოვლო და ქშენით მიდიოდა.

ბიჭი რომ მიუახლოვდა, მოხუცმა თვალებზე ხელი მოიჩრდილა და მომავალს დააკვირდა.

— ბიძიკო, შენ რაჟდენისა არა ხარ?

— ღიახ...

— მამაშენი არ გამოუშვეს?

ბიჭმა სლუკუნე დაიწყო:

— დედა ისევ იქ არის... თვითონ ვუყურე, სხვებიც მიუმატეს, თუ არა...

— რა ქნეს იმ მხეცებმა, არ ჩავგამწარეს ეს ათას ცხრაას ხუთი წელი!—კნენსით წამოიძახა მოხუცმა. ბიჭმა კალათს ხელი დაავლო და გზა განაგრძო.

ჩაფიქრებული ბიჭი ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა განმარტოებით მდგარ ქობს. ის მათი სახლი იყო. ქობის საკვამური არ ბოლავდა. რა ხანა მათ ბუნარში ცეცხლი ხეირიანად არ დანთებულა. მამა სანამ თავისუფალი იყო, ხანდახან მოიტანდა უვარგის ფიცრებს, წნეღის გულდურას და ქობში სითბო და ხალისი დატრიალდებოდა. ახლა კი... აი, ეს ორიოდე ფიცრის ნაპობი ძლივს იშოვა დედამ.

მივა თუ არა, უსათუოდ აანთებს ცეცხლს. საუზმის თადარიგს შეუდგება. დედა მშვიერი და დალოღი დაბრუნდება საპატიმროდან... ბიჭი ფიქრებიდან მოულოდნელმა ფეხის ხმამ გამოიყვანა.

მან რამდენიმე ნაბიჯზე სამი ქანდარმი დაინახა, რომლებიც მათი მეზობლის სახლთან გაჩერებულიყვნენ.

— ყმაწვილო, სერგო საბაშვილი აქ ცხოვრობს?

— ღიახ...—წამოიძახა ბიჭმა და უცებ დაუმატა:

— მგონი... არ ვიცი...

ქანდარმებმა აღმოაცერად ახედ-დახედეს ბიჭს და ქიშკარში შეაბიჯეს.



„უნდა მეთქვა სხვაგან ცხოვრობს“—მეთქი. ამ ფიქრმა ელვასავით გაურბინა ბიჭს, იმ სახლის ფანჯარის წინ უნებურად შეჩერდა და დააყურადა. ოთახიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ეტყობოდა, ქანდარმები ჯერ ეზოს ზვერავენენ.

„ახლა ძია სერგოსაც დააპატიმრებენ... ის ხომ მამას მეგობარია“...

უცებ ფანჯარა ფრთხილად გაიღო და ქალის გაფითრებული სახე გამოჩნდა. ფანჯარაში გადმომდგარმა ქალმა ჯერ უკან დაიხია, მერე ღიმილით წამოიძახა:

— შუქრი, გენაცვალე, აქ რა გინდა?

— მე... მე... დედა მარო, დავინახე ის...

ისინი რომ შემოვიდნენ და...

ქალი ფანჯარას გადმოეყუდა, მიმოიხედა



და როცა დარწმუნდა, რომ ქუჩაში არავინ ჩანდა, ყურში უჩურჩულა ბიჭს.

— შენი დანახვა ასე არასოდეს გამხარებია, ჩემო შუქრი. უნდა გაისარჯო, აი, ეს დედას უნდა წაუღო.

ქალმა ერთხელ კიდევ გახედა და ცარიელ-ბულ ქუჩას და მრგვალად გახევეული ქალაქ-დეგების დასტა ფრთხილად გადმოაწოდა გაცივებულ ბიჭს.

— დედა შინ არაა...

— არა უშავს, შვილო, ახლა ლაპარაკის დრო არ არის... ჩაღე მაგ კალათში... მაგრე არა, სულ ქვეშ... წაიღე და დაწვი, გესმის? ან წყალში გადაადგე!

მაღე ყველაფერი რიგზე იყო. ფანჯარა დაიხურა. შუქრი მირბოდა შინისაკენ, ფეხები ებლანდებოდა, უკან მიხედვას ვერ ბედავდა. ეს რა ჩაიდინა. ხომ შეიძლება დაინახონ და მერე... დედასაც დაღუპავს... ჩქარა, ჩქარა!

უცებ ზემოდან მომავალ სხვა ქანდარმებს შეეფეთა.

დაბალი, ფაშფაშა ქანდარმი აკანკალებულ შუქრის მიუახლოვდა და ჰკითხა:

— საიდან მოდიხარ, ვაჟკაცო?

— ბაზრიდან, ბატონო...

— აბა, მაჩვენე რა მიგაქვს!
მსუქანი ქანდარმი ქშენით მოიღუნა წელში, ხმლის ბუნეკით მიჩხრიკ-მოჩხრიკა კალათი და წელში გასწორდა.

— ბიჭუნას ნავაქრში საეკვო არაფერია, ბატონო ფერიტორო, — მოახსენა დაბალმა ქანდარმმა მაღალს, — რამდენიმე თავი ხახვი და კომბოსტო მიაქვს შინ... ღროის დაკარგვად არ ღირდა.

— ერთი კომბოსტო შენც კი გაბია მხრებზე. ბრძანება ბრძანება, — შეუტია უფროსმა ქანდარმმა ხელქვეითს, ექვით შეათვალღერა კედელთან ატუხუთლი ბიჭუნა და დეგების ჩხაკუნით განაგროძო გზა.

აღღეღებული შუქრი გულის ფანცქალით მიაბიჯებდა ამ თოვლში.

როცა სახლის სამსაფეხურიანი კიბე აირბინა და ეზოს გადახედა, გარკვევით დაინახა ახალმოსულ თოვლში დატოვებული ნაკვალევი.

„ამ ნაკვალევზე უთუოდ მომავნებენ,“ — გაიფიქრა მან და ზღვისაკენ გაიხედა.

„ზღვაში გადავადგებ, ზღვაში.“

უცებ ბუხარი გაახსენდა, ოთახის კარი ფეხსკერებით შეღო, შეშა ბუხრის წინ დაყარა, ნაცარი გადაქეჭა. მერე ფიცრის ნახლენები დაანაკუნა, ნაცარზე დააგროვა და ზევიდან მსხვილი ნაქრები დალაგა.

აი, ახლავ დედაგუნენებს ბუხარს, გათბება კიდევ და... მაგრამ ვიდრე ცეცხლში ჩაადგებ, ხომ უნდა ნახოს, რასა სწავს?

მან ასანთი გვერდზე გადადო, კალათიდან კომბოსტოს თავი ამოიღო. გაეცინა. ახლავა გაახსენდა, რომ მსუქანი ქანდარმს გასიებული თავი მართლაც ამ კომბოსტოს მიუგავდა.

შეკრული ქალაქდების დასტა ფრთხილად გახსნა და ერთი ფურცელი გაშალა.

— „ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს თავისუფლებას!“

შუქრის ტანში გააჟროლა. უნებურად მიმოიხედა და ჩაფიქრდა. არა, ამას ვერ დასწავს. მამამისმაც ხომ სწორედ ეს სიტყვები წამოიძახა, როდესაც ქანდარმებმა ხელები ზურგსუკან გაუკრეს და საპატიმროს გზას გაუყენეს.



დედამ გოცებით გადახედა შვილს.

— რა მოგივიდა, ბიჭო?

შუქრიმ არაფერი უბასუხა, ბუხრის წინ დაიჩოქა, ნაცარი გადაქექა, დამალული ამოიღო, გაბერტყა და დედის წინ თავჩაღუნული გაჩერდა.

— აი, დედი... ეს მე, მე წამოვიღე ძია სერგოსაგან... ცეცხლი ამიტომ ვერ დავახვედრე...

შუქრი დედის მკერდს მიენდო, თვალები დახუჭა და საყვარელი მამის ელვარე თვალები დაუდგა თვალწინ, გარკვევით გაიგონა მისი ვაჟაკური ძახილი: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ ეს ძახილი თითქოს იმ აუნთებელი ბუხრიდან მოდიოდა და საოცრად, საოცრად თბილოდა ოთახში.

ბობოქრობდა ზღვა, ღელავდა, თითქოს იზიარებდა ხალხის გულისწყრომას და თავისუფლების წყურვილს.

მაგრამ სად? სად დამალოს ეს საშიში ქაღალდები? კარადის უკან? განჯინაში? არა, არა! აღვიღად მიაგნებენ. მან უცებ ერთ დასტად შეკრა ქაღალდები, შეშის ქვეშ ნაცარი ორმად გამოქექა, შიგ ჩადო და ისევ ნაცარი წააყარა.

ფეხის ხმა შემოესმა. თანჯარას მივარდა და თავისუფლად ამოისუნთქა: დედა მოდიოდა. ღრმა თოვლში მოაბიჯებდა თავჩაღუნული. შუქრი აიღანზე მიეგება დედას.

— მამა?— შეეკითხა ბიჭი.

— ჯერ არ გამოუშვებენ მამას, შვილო... ცეცხლი არ აგინთია? მცივა, გავიყინე, რა ხანია, ქუჩაში ვდგავარ, სერგოსას ჩხრეკა ყოფილა. — დალილილი ხმით თქვა დედამ და ბუხარს მიუახლოვდა.

— მერე?— გულის ჩქროლვით შეეკითხა შუქრი.

— რა მერე? ავანთებთ და გავთბებით.

— არა, დედი, რა მოხდა ჩხრეკის შემდეგ?

— გადარჩა, შვილო... ვერაფერი უპოვნიათ, თანდარმები წავიდნენ... ასანთი სად არის?

— წავიდნენ? მართლა წავიდნენ?— შესძახა შუქრიმ და თვალებზე სიხარულის ცრემლი მოადგა.

**სად წავიდა
ენკუში?!**

პანიკ მკვლელები

უელარ ანგრუებს ნაწილებს,
კურ გადმოადის შარბუქ,
თავი უკრებს გვირგვინში,
საპაქუტებს და წარბსებს.

მუხობიანებს სელ-ფისია,
შუქრეალებს დანებია,
— სად წავიდა ენკუში?
— შექად ქვედა ინკა!

ასჯერ ჭირნახულ თავისუფლების
საშვილიშვილო სხივი გვარტყია;
ჰყვავის ქალაქი, ჰყვავის სოფელი —
აი, რად გვიყვარს ჩვენი პარტია!

ირაკლი აბაშიძე.



რას ღულუნებენ მბრძობები

გიორგი ავახანიძე

სსაშეწეობილად მტრედები
რას ღულუნებენ, ნეტუ!
— შვილებს ქართუვლად ზრდიდო,
კამრუე ქართუვლო დედაუ!

სინდისის წიენით წაფავდე,
დიდი სიმართლის მთქმელად,
შენს ნინოსა და ანსენას,
შენს თამარსა და გელას.

დაცქრილავებდნენ, სარობდნენ
მთაში, ზღვაზე თუ ველად-
მამულის თვალის სინათლედ
ვარდუვავილობდეს ევლა.

ავებდნენ, აჩუქურთმებდნენ
ასლ თოკვსა და გელასთ
შენი ნინო და ანსენა,
თამარქალი და გელა.

ნახტი გიორგი როინიშვილისა

ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ.
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

ლალო ასათიანი

ზვილიზვილები

გურამ ბახვაძე

ნახატები რაეპა სუხუიროძისა

დათო, ეთერი, ავთო, ლალი და მათი მეგობრები შავი ზღვის მახლობლად მდებარე ლამაზ სოფელში—ხუცუბანში ცხოვრობენ. პატარებს ძალიან უყვართ თავიანთი სოფელი და ამაცობენ კიდეც, რომ მას გმირთა მხარეს უწოდებენ. იცით, რამდენი სოციალისტური შრომის გმირია სო-

ფელში?—თვრამეტი.
ამ სოფელში კიდეც ბევრი სახელოვანი ადამიანია. ოცდახუთ მათგანს მკერდზე ლენინის ორდენი უბრწყინავს, კოლმეურნეობაც ლენინის ორდენითაა დაჯილდოებული.



პაპაჩაბის წვლილი

გაკვეთილების შემდეგ პიონერებმა ბარები და წერაქვები აიღეს და ხეობისაკენ გასწიეს.

— სად მიდიხართ, რა უნდა გააკეთოთ?—შეეკითხა მეორეკლასელი ეთერი.

— ხეების დასარგავად. ორმოცი უნდა ამოთხაროთ.

— წავიყვანეთ, რა, ჩვენც მოგეხმარებით!—სთხოვა ეთერმა.

პიონერებს გაელიმათ და არაფერი უთქვამთ. ეთერმა მოიწყინა, მაგრამ შემდეგ სახე გაუბრწყინდა და ამხანაგებისაკენ გაიქცა. ისინი დიდხანს დაობდნენ. შემდეგ რაღაც მოილაპარაკეს და ერთ საკლასო ოთახში მიიმალნენ.

ჰკვეთავს ლენინის აზრი ხმალივით
და აღმასივით არ იღუნება,
უძლეველია ქარიხმალივით
აზვირთებული მისი ბუნება.

გიორგი ლაონიძე

ოქტომბრელები კი
ღობიდან იკვირებო-
დნენ და უხაროდან,—
ამ დიდ საქმეში მათაც
მიუძღვოდათ წვლილი.

ბიონერებმა ორმოების ამოთხრა რომ დაამ-
თავრეს, ნერგების მოსატანად სკოლაში დაბრუ-
ნდნენ. და აი, საოცრება! არც ერთი ნერგი
აღგიღზე არ დაუხვდათ. ძალზე გაუკვირდათ.
ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერეს და იმედ-
გადაწყვეტილი ხეობისაკენ დაეშენენ. ის, რაც
მათ ნახეს, კიდევ უფრო გასაკვირველი იყო—
ვიდაცის მარჯვენას ორმოებში ხეები ჩაერგო და
წყალიც მიესხა.

— ვინ იზამდა, ვინ?—კითხულობდნენ გაო-
ცებული ბიონერები.

ოქტომბრელები პლანტაციის

ორლობეში მიმავალ ოქტომბრელებს ტრაქ-
ტორის ხმა შემოესმათ.

— რა იყო, რა მოხდა, ნეტავ იმ ფერდობზე
ტრაქტორს რა ესაქმება?—თქვა დათომ.

— წავიდეთ, გავივოთ!—შესძახეს დანარჩე-
ნებმა. თურმე ტრაქტორი ჩაის ახალი პლანტა-
ციისათვის ნიადავს ამზადებდა.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, ლალიმ ეშმაკურად
გაიღიმა და ტოლებს უთხრა:

— იცით რა, მოდიეთ, ამ საქმეში უფროსებს
ჩვენც მივებმართო.

ბავშვები ლალის ჩანაფიქრს მიუხვდნენ. მეორე
დღეს კვირა იყო, მაგრამ ოქტომბრელები დილა-
ადრინად სკოლაში მივიდნენ. ხელში კალათები
ეჭირათ. მაშინვე პლანტაციაში გაეშურნენ და
ჩაის თესლის შეგროვება დაიწყეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შეგროვებუ-
ლი თესლი რომ დაინახა, ოქტომბრელები შეაქო
და უთხრა:

— ყოჩაღ, პატარებო, იმდენი თესლი შეგიგ-
როვებიათ, სამ ჰექტარ ახალ პლანტაციას გავა-
შენებთ. ამ პლანტაციას კი თქვენს სახელს და-
ვარქმევით.


მამა ოქტომბრელი რომ იყო

სკოლის მეორე სართულზე არის ერთი ოთა-
ხი. სადაც არც ერთი მერხი არა დგას. ოთახის
ყველა კედელი ფოტოსურათებით არის საყვ-
იქ სკოლის მუზეუმი. ოქტომბრელებს ძალიან
უყვართ მუზეუმში შესვლა და ბიონერებთან
ერთად ძველი ფოტოსურათების დათვალიერება.
ისინი ხშირ იმ დროს არის გადაღებული, როცა მამა-
თი მშობლები მათსავით პატარები იყვნენ და მკე-



მშობლიური ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!

გალაკიონი



რღზე ოქტომბრელთა წითელი ვარსკვლავი ჰქონდათ დამაგრებული.

აი, გოგო-ბიჭების ერთი ფოტოსურათი. ყველას საზეიმო ტანსაცმელი აცვია. ეტყობა ზეიმის დღეს არის გადაღებული. სურათს ქვემოთ აწერია— 1931 წლის 1 მაისი.

ოქტომბრელებს ძალიან გაუკვირდათ, როდესაც გაიგეს—აი, ის, პატარა ბიჭი, კედელზე რომ ფოტოა, ჯემალის პაპააო. ერთხელ კიდეც ცნობისმოყვარეობით შეაგულეს თვალი ფოტოსურათს და ჯემალის პაპასთან გაიტყვნენ.

თმაშევერცხლილი მოხუცი ეზოში მანდარინის ბუჩქთან იჯდა და სულ პატარა შვილიშვილს—ეთერს ეთამაშებოდა. პაპამ იმ დღეს ბავშვებს ბევრი საინტერესო რამ უამბო. მას შემდეგ ოქტომბრელები პაპა ჯემალს აღარ შორდებიან.

მუზეუმში ოქტომბრელებთან ერთად პიონერებიც მოდიან. ისინი ხომ მშობლიური სოფლის ისტორიის ალბომს ერთად ამზადებენ. ამ ალბომს პირველ გვერდზე ოქტომბრელთა საყვარელი ლექსის სტრიქონები აწერია:

აღმართ-აღმართ მიმავალი დიდებავ,
შენ ახალი საქართველო გქვინაო!

კომუნისმია მიზანი ჩვენი,
ვიბრძვით და ვსრომობთ შეუპოვრები,
მაგალითს გვაძლევს პარტია ბრძენი
ხუროთმოძღვარი ჩვენი ცხოვრების.
ალიო მირსხულაჲ

პირდაპირე მხარეს ვამა-
ხელა.
— აი, იქ ორი დღი
სახლი რომ შენდება,
ხელავ?
— ვხელავ!

ქუჩის ბავშვი

ვლადიმერ ასლაგაზიშვილი

ნახატი ზურაბ კაპანაძისა

— დათო, არ გინდა, მშენებლობა ვითამა-
შოთ?— მითხრა კოტემ.
— როგორ?— ვკითხე მე.
კოტემ ფანჯარასთან მიმიყვანა და ქუჩის მო-

— მარჯვნივ რომ სახლს აშენებენ, ჩემია,
მარცხნივ რომ აშენებენ— შენი. ახლა ჩვენ მშე-
ნებლები ვართ და ვნახოთ, ვინ ვის აუჯობებს!
იმ დღის მერე სკოლიდან მოვიდოდით თუ



არა, კოტე მაშინვე ფანჯარასთან მივიდოდა, ერთი ვნახოთ, ხომ არ გაჯოზბო.

ფანჯრიდან მეც ვიქუტიტბოდი და მიხაროდა, მშენებლებს კედლები უფრო აემალლებინათ; მაგრამ არც ერთი იყო მეტი, არც მეორე...

— ორივე უოჩადები ვართ!—უხაროდა კოტეს. ერთ დღეს ძალიან დავღონდი. კოტეს სახლი ერთი სართულით აემალლებინათ, ჩემი კი არა.

— გაჯოზბე, ჩემი სახლი მაღალია!—უვიროდა კოტე და ტაშს უკრავდა.

— ნეტავ რა მოხდა?—უფიქრობდი და გული მომდიოდა მშენებლებზე. კოტე ჯიბრით ენას აღარ აჩერებდა.

— ზარმაცი ხარ, ზარმაცი!

— ვინ არის ზარმაცი?

— ვინა და შენ!

— რა ჩემი ბრალია თუ კალატოზებმა იზარმაცეს?—ძმას თვალები დავუბრიალე, წამოვხტი, ეზოში ჩავიბრინე და მშენებლებთან გავჩნდი.

ისინი ისხდნენ და პაპიროსის ისე აბოლებდნენ, თითქოს კაპიკის საქმე არა ჰქონდათ.

— ვინ გინდა, კაცო!—მკითხა ერთმა.

— ზარმაცი კალატოზი!

— ზარმაციო?!—თქვეს მშენებლებმა და ერთმანეთს გადახედეს.

— დიახ, ზარმაცი!

— საიდან იცი, კაცო, რომ ჩვენ ზარმაცი კალატოზი გვყავს?

— ჩვენი სახლის ფანჯრიდან კარგად ვხედავ. ჩემმა ძმამ რომ მაჯობა ვითომ არაფერია?

— შენმა ძმამ როგორ გაჯობა?—უხრები ცქვიტეს სხვებმაც.

— მე მშენებლებს ჩვენი თამაშის ამბავი ვუთხარე.

— ვასაგებია,—თქვა ერთმა მაღალმა, ღონიერმა ძიამ და თავზე დიდი, მძიმე ხელი დამადო,—აი, რა, შეილო, საშენი მასალა დაგვაკლდა და იმიტომ შეჩერდა მშენებლობა. დღეს აგურს მოგვიტანენ და სიტყვას გაძღვევთ, ორიოდ დღეში ამ შენობას სართულსაც წავუშაბტებთ და ცოტა

დაგბადებულვარ, რომ ვიყო მონა, და საქართველოს მედგას უღელი; მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე, დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!..

გიჟიან ბაბიძე

გავასწრებთ კიდევ, აი იმით.—ხელი გვერდით მდგარ შენობისაკენ გაიშვია,—ჰა, როგორი სიტყვაა?—მითხრა და დიდი ხელი გამოიწყო. რა მეთქმოდა.

მართლაც სულ ორიოდ დღე გავიდა და კოტე ფანჯრიდან თვალბეჭეტილი გაპყურებდა „ჩემს შენობას“, რომელიც ერთი სართულით გაზრდილიყო და მის შენობას გათანაბრებოდა.



პახგზნ ძნლაქმ

დათუქ ბელეს დღურეკა:
რაცარც იქნა, გავიხებთა,
ცნაწკაროსთან თაღს წავაწკა
კანთ ჩნძავარეთთ.



მე შავდარა ქართული ვარ,
კავკასიის მთების შვილი,
და ვანცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სევდილო.



წელიწადის უპიკუბი

გიორგი შინუარამი

ნახატები იური ქლიპაძისა

ზ ლ ა კ ა რ ი

წელიწადმა თქვა: ამ ხნისა მოვიყარე, იმას კი ვერ ველირსე, ჩემი შვილები სადმე ერთად მენახაო.

ზის ლოდზე ჯაფით დაღლილი წელიწადი და ფიქრობს: ავდგები, მთელ ღუნისა მოვივლი და შეილებს თავს ერთად მოვეყურიო.

თქვა და კიდევ გაფრინდა საძებნელად. ჯერ ჩრდილოეთით იფრინა, იფრინა, იფრინა და ყინულების სამეფოში დაეშვა. მიიხედ-მოიხედა, ყინულის გორაზე ჩამოჯდა. ზის და იცდის. ისეთი ყინვაა, ძვალ-რბილში ატანს. ერთიც ვნახოთ და, ზამთარი გამოჩნდა. დაინახა მამამისი და ისე გაუხარდა, ჩაბნელებული ზეცა სულ მტრედისფერად ააციალა. წელიწადს თვალი მოსკრა ჩრდილოეთის ციალში.

— გამარჯობა, შვილო! როგორა ხარო?

— გაგიმარჯოს, მამაჩემო, — უპასუხა ზამთარმა, — როგორა ვარ და შენს დანაბარებს ვასრულებ, ქვეყანას თვთრ სახანში ვხვევო.

— შენი და-ძმა — გაზაფხული ან შემოდგომა ხომ არსად გინახავსო.

დაფიქრდა ზამთარი, თითქოს რაღაც შორეულ ამბავს იგონებდა.

— გაგონილი კი მაქვს, რომ ჩემი და-ძმანი არიან, მაგრამ ჩემს დღეში არ შემხვედრიანო.

ამ მხარეში საწადელს ვერ ვეწევიო, — გაიფიქრა წელიწადმა, შეიღს გამოემშვიდობა და ახლა სამხრეთისაკენ გაფრინდა. ტყის პირას ერთ მინდორზე დაეშვა. ისეთია იქაურობა, სულ ბიბინებს და ხასხასებს. მიიხედ-მოიხედა ნასიამოვნებმა წელიწადმა და უცებ დაინახა: ტყიდან გაზაფხული მობრძანდებდა. თვალი მოჰკრა მამას და გაიღიმა. გაიღიმა

და მაღალ ხის კენწეროებს შორის აქიატლა მზე, მზის ლაქები ფოთლებზე აცეკვდნენ, თითქოს ციყვები დახტიანო. ტოტიდან ტოტზე გაბმული ობობას ქსელიც აბრჭყვიალდა, ტყეს მოფენილი თხელი ნისლი კი დაბლა-დაბლა დაეშვა.

— გამარჯობა, ჩემო ასულოო!—მისვალმა წელიწადი გაზაფხულს,—რასა იქ, როგორა ხარო?

— გაგიმარჯოს მამაჩემო!—უბასუხა გაზაფხულმა, — შენს დანაბარებს ვასრულებ, ქვეყანას ექარგავო.

— შენი და-ძმანი—ზამთარი, ზაფხული ან შემოდგომა ხომ არსად გინახავსო?

— შემოდგომა ჩემს ღღეში არ მინახავს. ის კი გამიგია, ჩემი ძმა ყოფილაო.


— მაშ, არც ზამთარი და არც ზაფხული

გენახვებო?

— როგორ არა, ზამთარი რომ მიდიოდა, მე—მოვდიოდი, ზაფხულიც მაშინ მოვა. მე რომ წავალა. ვნახულობთ ერთმანეთს და ვერც ვნახულობთო,—დროცოტა გვრჩებაო.

ვერც ამ მხარეში ვეწვევი საწადელსო,—გაიფიქრა წელიწადმა, შეიღს გამოემშვიდობა და გაფრინდა. სულ სამხრეთით იფრინა და ერთ ტრამალზე დაეშვა. კინალამ ზედ არ დაეგო უცნაურ ხეს—კაქტუსს, მაგრამ ბედად მშვიდობით გადაარჩა. წელიწადი პალმის ქვეშ ჩეროში ჩამოჯდა. ზის და ფოთლით სახეს იგრძობს. შორიახლო კი ტყე მოჩანს, ისეთი ხშირი და ბნელი, თვალით ვერ შეადწევ. ვნახოთ და, სწორედ ამ ტყიდან გამოდის ზაფხული. დანახა მამამისი და გაიღიმა.

— გამარჯობა, ჩემო ასულოო! — მიეგება





წელიწადი.—რასა იქ, როგორა ხარო?

—გავიმარჯოს, მამაჩემო!—მიუგო ზაფხულმა.—შენს დანაბარებს ვასრულებ. ხომ ხელად, ქვეყანას აღმურს ვადენო.

—იქნება მითხრა, შენი და-ძმანი—ზამთათარი, შემოდგომა ან გაზაფხული შეგბევედრია თუ არაო?

—გაგონილი კი მაქვს, და-ძმანი რომ მყავს, მაგრამ ჩემს დღეში არ შემხვედრიანო.

გასაუთებულმა წელიწადმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და გზას დაადგა. სად არ იფრინა, სად არ იარა, ხან აღმოსავლეთით, ხან დასავლეთით, მერე ისევ ჩრდილოეთი და სამხრეთი მოიარა, მაგრამ ვერა და ვერ ეწია საწადელს. კარგად რომ დიქანცა, ერთ მაღალსა და თოვლიან მთაზე ჩამოჯდა და ჩათეკრდა.

—ეჰ, ისევ ზამთარს ვწვევივარო!—თქვა დაღონებულმა და უფრო მოიწყინა. ზამთრის ყინვამ, ცოტა არ იყოს. ბებერი ძვლები გაუთომა ჩვენს წელიწადს.—რა უბედური ვყოფილვარო.—ჩაჰკიდა თავი.

ამ წუხილში რომ იყო, მთამ ნისლი გადაიყარა და ცა მოკრიალდა. წელიწადმა ძირს ჩასვლა მოინდომა, გადაიხედა და გაოცდა: დასავლეთით მზეზე ლურჯად მოლაპლავე ზღვამ მოსჭრა თვალი. ნარინჯი, თურინჯი, ჩაის მწვანე ბუჩქები და, რა ვიცი, რა არ დაინახა: როცა ზღვაში მობანავე გოგო-ბიჭებსაც მოჰკრა თვალი, უფრო გაიხარა წელიწადმა.

ძირს ნამდვილი ზაფხული იდგა.

შუაზამთრიდან ზაფხულის მაცქერალი წე-

ლიწადი გაიბადრა. ეს ორი შვილი მაინც ხომ
ენახე ერთად შეყრილიო, — თქვა და ქვეყანას
თვალი მოავლო. მოავლო და რას ხედავს:
აღმოსავლეთით და სამხრეთით ტყეს ოქროს-
ფერი, მწვამული, მომწვანო, მოლურჯო, ყვი-
თელი, ნარინჯი და ათასნაირი ენით უთქმე-
ლი ფერი დასდებია. ზოგან ისევ სიმწვანე-
შერჩენილ ველებს შორის გზებზე ხილით,
ბოსტნულით და ყურძნით დატვირთული
მანქანები მისრიალებენ.

— ჩემო პურადო ვაქაკო, შენც აქ ყო-
ფილხარო! — დაუყვია შემოდგომას სიხა-
რულით აკრემლებულმა წელიწადმა, წამოხტა
ყმაწვილკაცივით და ბარისაკენ დაეშვა. ირბი-
ნა, და უცებ შედგა — სირბილში თოვლიანი
გზა მოთავებულებო და ახლა მოლი რომ
დაინახა, გაუყვირდა. კორტოხებზე დაბალი

ხის კორომები პაწაწინა ფოთლებს აშრია-
ლებდნენ.

— ამას რას ვხედავ, გაზაფხულიც აქ ყო-
ფილაო! — წელიწადს სიხარულით სული შეე-
გუბა და ანახდად ახედა ციკაბო მწვერვა-
ლებს, წელან რომ ყმაწვილივით ჩამოირბინა.
იმ მარადთოვლიანი სამეფოდან ზამთარი ღი-
მილით გადმოსცქეროდა გახარებულ მამას.

ამ დროს ცაზე პატარა ღრუბელი გამოჩნ-
და. მზემ შიგ გამოატარა სხივები და შხაპუნა
წვიმა დაუშვა.

მზე პირს იბანდა.
ბალოდით გახარებულმა წელიწადმა თავ-
პირი შეუშვირა წვეთებს და სიხარულით
დავლურიც დაუარა.


წელიწადი საქართველოში ცეკვავდა.





ქ ს ვ უ ჯ ც ე ი

თავსაგანი



•ფუნანზე ფუნანზე ფიფინა ცნა
-მჭიდვას ვიპაარე ალა-მცხო ისაფრეტკალსითაჲ ფეგინანსჲ

შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს მდინარეების სახელებით.

ენის
გასატენი

შეაა ბლიაჲ
შხუილით და ჩქაფაჩქუფით ხევში ჩარბის ჩანჩქერი, ცელქი ცარო ცელქ ჩანჩქერი გაოცებით ჩასცქერის.

ტყეუში



რედაქცია კ. მოთხროველი

მთავარი რედაქტორი მუხრან მავაპარიანი

სარედაქციო კოლეგია: მკურნი გომიგომილი, ლილა ერაბი, ჯემალ ლოლა, ზურაბ ლომიძე, მავაპლა მრეალოზილი, იორაჲ მხობრამლიძე (პ/შე მდივანი), შალვა მხაღვრი (ხაშ. რედაქტორი), გივი ძნობაძე
საქ. კბ ცე-იჲ გამომცემლობა
გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии
კლასიკ ნაბარი ზურაბ აბანაძისა გამომცემლობა 44-ე წელი. ტექნიკური შ. რედაქტორი
მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის-თბილისი, ლენინის, 14. ტელ: ში. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, პ/შე მდივანი — 93-10-32, 93-98-17; სახ. რედაქტორის — 93-98-18; გაზეთი — 93-98-19; სამფლობი — 93-98-16.
ვალეცა ისაწუბად 4/XII-70 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდელ 8/1-71 წ. კალენდის ზომა 60X90 სმ.
ღირ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჲ 150.500. შეჯ. № 3722 „მისა“ № 2. на грузинском языке, ფასი 20 კაბ.



6/7/38



76055



მერანი—ნახტი ვიორჯი შათაშვილისა, 5 წლის.
 უაყარუები—ნახტი კეთილთ ელიაშვილისა, 5 წლის.
 გაზაფხუდღი—ნახტი აჩიკო კოქრაშვილისა, 7 წლის.
 ნატურმორტი—ალექსანდრე ვია აბაშიძისა, 6 წლის.
 შტირადა თოჯინა—ნახტი შაია დალიაშვილისა, 6 წლის.
 ნატურმორტი—ნახტი დათო ჩხლაძისა 6 წლი...

